

# ტესტი ისტორიაში

## II ვარიანტი

### ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ელექტრონული ბუკლეტი.

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა.

ტესტის მაქსიმალური ქულაა 60.

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 2 საათი და 40 წუთი.

გისურვებთ წარმატებას!



## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 1-15

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არც ერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელმა სახელმწიფოებმა გაანადგურეს ასურეთის სამეფო ძვ. წ. VII საუკუნეში?

ა) ეგვიპტისა და მიდიის;

ბ) ხეთებისა და ეგვიპტის;

გ) ურარტუსა და ბაბილონის;

დ) ბაბილონისა და მიდიის.

## 2. რა იყო ზამას ბრძოლის შედეგი?

- ა) კართაგენელებმა, მარცხის მიუხედავად, შეძლეს ომის გაგრძელება;
- ბ) რომაელებმა გამარჯვების შემდეგ დაიბრუნეს კუნძული კრეტა;
- გ) კართაგენელებმა მარცხის შედეგად დათმეს ბალკანეთის ნახევარკუნძული;
- დ) რომაელებმა დამარცხებული კართაგენელები აიძულეს მიეღოთ მძიმე ზავი.

### 3. რომის სახელმწიფოს რომელ მნიშვნელოვან საკითხს არეგულირებდა „მილანის ედიქტი“?

- ა) სამხედროს;
- ბ) წოდებრივს;
- გ) რელიგიურს;
- დ) სასამართლოს.

#### 4. რა შესთავაზა ჰერაკლე კეისარმა ხაზარებს?

- ა) იმპერიის დასავლეთ პროვინციებში დასახლება;
- ბ) აზასიანთა სახელმწიფოს ტერიტორიის გაყოფა;
- გ) მომთაბარეთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა;
- დ) სასანიანთა ირანის წინააღმდეგ ომში მოკავშირეობა.

## 5. რომელი მსჯელობაა მართებული VII საუკუნის ახლო აღმოსავლეთის ისტორიის შესახებ?

- ა) შეიქმნა ომაიანთა სახალიფო;
- ბ) დასრულდა ფატიმიანთა დინასტია;
- გ) ჩამოყალიბდა სასანიანთა იმპერია;
- დ) დაიწყო ჰუნების შემოსევები.

## 6. რომელი მსჯელობა არ არის მართებული?

- ა) XI საუკუნის დასაწყისში ბაგრატ III იწოდებოდა აფხაზთა და ქართველთა მეფედ და ასევე ფლობდა კურაპალატის ბიზანტიურ ტიტულს;
- ბ) XI საუკუნის 20-იან წლებში თრიალეთის დაუფლების საკითხმა გიორგი I-სა და ბასილი II-ს შორის სისხლისმღვრელი კონფლიქტი გამოიწვია;
- გ) XI საუკუნის შუა ხანებში ბაგრატ IV-ისა და ლიპარიტის დაპირისპირება საბოლოოდ მეფის გამარჯვებითა და დამარცხებულის გაძევებით დასრულდა;
- დ) XI საუკუნის დამლევს „დიდი თურქობის“ შესაჩერებლად გიორგი II სულთანს ეახლა და ყოველწლიური ხარკის გადახდა იკისრა.



## 7. რომელმა მოვლენამ შეუწყო ხელი დავით IV-ს სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებაში?

- ა) მანაზკერტის ბრძოლაში ბიზანტიელთა მიერ სელჩუკთა დამარცხებამ;
- ბ) პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყებამ და იერუსალიმის აღებამ;
- გ) არაბთა მიერ სელჩუკების დამარცხებამ და ბაღდადის გათავისუფლებამ;
- დ) ხალიფას გარდაცვალების გამო სელჩუკთა შორის დაწყებულმა შინაომმა.

## 8. რომელი მსჯელობაა მართებული გიორგი V-ის მოღვაწეობის თაობაზე?

- ა) გაატარა მნიშვნელოვანი საერო და საეკლესიო რეფორმები და შექმნა საეკლესიო სამართლის ახალი წიგნი;
- ბ) ემზადებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობისათვის, თუმცა სელჩუკთა შემოსევამ ხელი შეუშალა;
- გ) ქვეყანა გაათავისუფლა მონღოლთა ბატონობისაგან, გააძლიერა სამეფო ხელისუფლება და აღადგინა ერთიანი სამეფო;
- დ) მხარი დაუჭირა რომის პაპის მოწოდებას ანტიოსმალური კოალიციის შექმნის შესახებ და ჯარი გაგზავნა ტრაპიზონში.

## 9. რა მოუვიდა თემურ ლენგის სიკვდილის შემდგომ მის სახელმწიფოს?

- ა) დაიმორჩილა ჩინეთის იმპერიამ;
- ბ) დაიშალა სხვადასხვა პოლიტიკურ ერთეულად;
- გ) შეავიწროვა ხორეზმის დიდმა სასულთნომ;
- დ) შეიცვალა მმართველი დინასტია.

## 10. რა უკავშირდება XV საუკუნეში მოღვაწე გუტენბერგის სახელს?

- ა) წიგნის ბეჭდვის ტექნოლოგიის გამოგონება;
- ბ) ჰელიოცენტრული თეორიის შექმნა;
- გ) პირველი საზღვაო ატლასის შედგენა;
- დ) ორთქლის ძრავის აწყობა.

## 11. რომელი მსჯელობაა მართებული დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების ეპოქასთან დაკავშირებით?

- ა) პორტუგალიელებმა ვასკო და გამას მეთაურობით ევროპელთა შორის პირველებმა მიაღწიეს საზღვაო გზით ინდოეთს;
- ბ) ესპანელთა ფლოტმა დიეგო კაბრალის მეთაურობით გადაცურა წყნარი ოკეანე და მიადგა ავსტრალიას;
- გ) ფრანგებმა ჟან-ფრანსუა ლაპერუზის მეთაურობით პირველებმა მიაღწიეს აფრიკის უკიდურეს სამხრეთ კონცხს;
- დ) ინგლისელები ჯეიმს კუკის მეთაურობით პირველები მიადგნენ ბრაზილიის აღმოსავლეთ სანაპიროს.

## 12. საბოლოოდ რა შედეგით დასრულდა სამოქალაქო ომი ინგლისში XVII საუკუნის 40-იან წლებში?

- ა) ჩარლზ I-ის გამარჯვებით და პარლამენტის მომხრეთა ქვეყნიდან გასახლებით;
- ბ) აჯანყებულთა გამარჯვებით და ჩარლზ I-ის ქვეყნიდან სამუდამოდ განდევნით;
- გ) ზავით, რომლითაც ჩარლზ I-ის ერთპიროვნული მმართველობა შეიზღუდა;
- დ) პარლამენტის მომხრეთა გამარჯვებით და ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯით.

13. რა შედეგი მოუტანა საქართველოს 1774 წელს რუსეთსა და ოსმალეთს შორის დადებულმა ქუჩუკ-კაინარჯის ზავმა?

- ა) ქართლ-კახეთის სამეფო გათავისუფლდა ოსმალეთის ვასალობისგან;
- ბ) იმერეთის სამეფო რუსეთის იმპერიის პროტექტორატში შევიდა;
- გ) ოსმალეთს აეკრძალა იმერეთის სამეფოდან ნებისმიერი სახის ხარკის აღება;
- დ) რუსეთი და ოსმალეთი ცნობდნენ ქართული სამეფოების გაერთიანებას.

#### 14. რომელი მსჯელობაა მართებული 1853-1856 წლების „ყირიმის ომის“ ერთ-ერთი შედეგის შესახებ?

- ა) ოსმალეთმა არტანის სანაცვლოდ რუსეთისგან ბესარაბიის ნაწილი მიიღო;
- ბ) აფხაზეთი კვლავ ოსმალეთის იმპერიის გავლენის სფეროში დაბრუნდა;
- გ) ჯავახეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოექცა;
- დ) რუსეთმა ყარსის დათმობის სანაცვლოდ ყირიმში დაკარგული მიწები დაიბრუნა.



## 15. რა იყო აშშ-ს სამოქალაქო ომის ერთ-ერთი შედეგი?

- ა) სახელმწიფოში მონობის გაუქმება;
- ბ) ინდიელთა რეზერვაციების აკრძალვა;
- გ) ახალი კონსტიტუციის მიღება;
- დ) „დიდი დეპრესიის“ დაწყება.

## ინსტრუქცია დავალებებისათვის № 16-18

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები და პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

## 16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი აღმოსავლეთის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ხამურაბის კანონების შექმნა;
2. ამენჰოტეპ IV-ის რელიგიური რეფორმა;
3. ნაბუქოდონოსორის ლაშქრობები.

## 17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროინდელი მოვლენები:

1. რესპუბლიკის გამოცხადება;
2. თერმიდორული გადატრიალება;
3. ბასტილის აღება.


## 18. ქრონოლოგიურად დაალაგეთ 1918-1921 წლების საქართველოს ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:


1. კონსტიტუციის მიღება;
2. ხელშეკრულების დადება საბჭოთა რუსეთთან;
3. სომხეთ-საქართველოს ომი.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 19

თქვენ წინაშეა ერთი კონკრეტული ისტორიული მოვლენის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო: ბრძოლის სქემა და ტექსტი. შეაჯერეთ ორივე წყაროში არსებული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს მხოლოდ წყაროებში არსებული ინფორმაციის მიხედვით. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





სექტემბერში ევროპელებმა ქალაქს მიაღწიეს. ქალაქში გამაგრებული ოსმალები იმედოვნებდნენ, რომ სულთანმა მალე გამოიხდებოდა და დანებებაზე უარი განაცხადეს. ევროპელებმა ალყა წამოიწყეს, ხოლო დუნაიზე მყოფმა მათმა გემებმა მდინარიდან მისადგომი დაბლოკეს. რამდენიმე დღის შემდეგ ოსმალები სულთნის მეთაურობით ქალაქს მიუახლოვდნენ. ევროპელთა რიგებში ერთსულოვნება არ იყო, ფრანგებს დაუყოვნებლივ შეტევაზე გადასვლა სურდათ, უნგრეთის მეფე კი დაცდას მოითხოვდა, რათა მტრის შესახებ ცნობები შეეგროვებინა. საბოლოოდ, საკუთარ ძალებში დარწმუნებული ფრანგები შეტევაზე გადავიდნენ. მათ უკან უნგრეთის მეფე, ხოლო ფლანგებზე ვლახები და ტრანსილვანიელები განლაგდნენ. ოსმალებმა ფრანგი რაინდების შეტევას ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. ფრანგებმა, რომელთაც ჩათვალეს, რომ გამარჯვება თითქმის მოპოვებული იყო, წინსვლა განაგრძეს და იმ გორაკისკენ დაიძრნენ, სადაც მტრის ბანაკი ეგულებოდათ. როდესაც ფრანგმა რაინდებმა აღმართი აიარეს, მათთვის მოულოდნელად ოსმალთა ლაშქრის ახალ ნაწილებს გადააწყდნენ.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.**

## კითხვები:


- (1) **19.1.** რომელი ქალაქის ალებას ცდილობდნენ ევროპელები?
- (1) **19.2.** რა მოიმოქმედეს საბოლოოდ ევროპელებმა ოსმალთა ლაშქრის გამოჩენის შემდეგ?
- (1) **19.3.** რა მოიმოქმედეს ვლახებმა და ტრანსილვანიელებმა ბრძოლის მსვლელობისას?
- (1) **19.4.** თავის გადარჩენის მიზნით რის იმედად დაიხიეს ფრანგებმა და უნგრელებმა დუნაისაკენ?



## ინსტრუქცია დავალებისათვის № 20

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

დავალება და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

## კითხვები:


(2) **20.1.** რა სახის ბექდური პროდუქციაა წარმოდგენილი ილუსტრაციაზე? საკუთარი პასუხი დაასაბუთეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაციის მიხედვით.

(2) **20.2.** რა ეწოდებოდა ოფიციალურად სახელმწიფოს, სადაც წარმოდგენილი ბექდური პროდუქცია შეიქმნა? ილუსტრაციაზე არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ ის თქვენ მიერ დასახელებულ სახელმწიფოში შეიქმნა?

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 21

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე.

## კითხვები:

(1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?

(1) **21.2.** რუკის მიხედვით, რომელი ქრისტიანული სახელმწიფო დაიპყრეს ოსმალებმა აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში?

(1) **21.3.** რუკის მიხედვით, რომელ ქალაქთან გამართული ბრძოლა დასრულდა ევროპელთა გამარჯვებით?

(1) **21.4.** რუკის მიხედვით, რომელი პოლიტიკური ერთეული დაიპყრეს ოსმალებმა ყველაზე ბოლოს?

(1) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი მუსლიმური სახელმწიფო მდებარეობდა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში?

(2) **21.6.** ქართველების მიერ ვისთან გამართული ბრძოლა ჩანს რუკაზე და რომელ წელს მოხდა ეს ბრძოლა?

(2) **21.7.** რუკის მიხედვით, ევროპის რომელი სახელმწიფოებიდან იწყებოდა ლაშქრობები ოსმალთა წინააღმდეგ?

(2) **21.8.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქების აღება სცადეს ოსმალებმა მხოლოდ ზღვიდან, თუმცა უშედეგოდ?

### ინსტრუქცია დავალებებისათვის № 22 და 23

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით. თითოეული დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 22

ისოსის ბრძოლაში დამარცხების შემდეგ დარიოს III-მ ალექსანდრე მაკედონელს დაზავება შესთავაზა. ზავის მიხედვით იგი თავისი სამეფოს დიდ ნაწილს თმობდა. ალექსანდრე მაკედონელის გარემოცვის ერთი ნაწილი დაზავების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც დარიოსთან დაზავების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც დარიოსთან დაზავების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.



## დავალება 23

1711 წელს ირანის შაჰმა ვახტანგ VI ისპაჰანში დაიბარა და ისლამის მიღება მოსთხოვა. ვახტანგი უარზე იყო, ამიტომაც იგი დაატყვევეს. ვახტანგის გარემოცვის ერთი ნაწილი მეფის მიერ ისლამის მიღების მომხრე იყო, ხოლო მეორე ნაწილი - მოწინააღმდეგე.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ვახტანგის მიერ ისლამის მიღების მომხრე თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც ვახტანგის მიერ ისლამის მიღების მოწინააღმდეგე თავის პოზიციას დაიცავდა.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 24

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი დავალება და შეაფასეთ მასში მოცემული ისტორიული პროცესის მნიშვნელობა. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, აზრი კი - ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

## დავალება 24

XIII საუკუნეში მონღოლთა ძლევამოსილი სახელმწიფო შეიქმნა.

### კითხვები:

- (1) **24.1.** დაასახელეთ ამ ისტორიული პროცესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი.
- (1) **24.2.** შეაფასეთ ამ შედეგის მნიშვნელობა მსოფლიო ისტორიისათვის. აუცილებლად მოიყვანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

## ინსტრუქცია დავალებისათვის № 25

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.



## ნაწყვეტი „ახალი ქართლის ცხოვრებიდან“

ზურაბ ერისთავი მოურავ გიორგი სააკაძეს აღარ ერთგულებდა, თანაც კახეთის მეფის თეიმურაზის სიძეც იყო და ამის გამო მედიდურობდა. ეწყინა მოურავს მისი თავნებობა და ამანაც დაივიწყა მეგობრობა. ამის გამო ჩამოვარდა მათ შორის დიდი შური და მტრობა. ზურაბი თეიმურაზს მიემხრო, მოურავი - ქართლის გამგებელ ქაიხოსროს. მთელი ქართლი ქაიხოსროს გარშემო დარაზმა მოურავმა. მარტო ორი ერისთავი, ზურაბი და იოთამ ამილახორი არ ემორჩილებოდნენ. მოურავმა კაცი გაგზავნა და დახმარება ითხოვა იმერეთის მბრძანებელ გიორგისგან. გამოგზავნა გიორგიმ თავისი მხედრობა.

საათაბაგოში მაშინ საფარ-ფაშა იჯდა. ის მანუჩარის ნათესავი იყო, მაგრამ ფარულად მოწამლა და მოკლა ათაბაგი. თვითონ წავიდა საფარ-ფაშა

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ხონთქართან და გაათათრდა. ხონთქარმა საფარ-ფაშას მისცა საათაბაგო. წამოვიდა და დაბრუნდა საათაბაგოში.

ათაბაგის ზოგიერთი თავადი იმხანად უკვე გაათათრებული იყო. საფარ-ფაშა რომ მოვიდა, ვინც კი ქრისტიანი თავადი იყო, ყველა გაათათრა. მას შემდეგ დაიწყეს თათრობა.

საფარ-ფაშას მოურავმა ჯარი სთხოვა და ისიც დაეხმარა. იმხანად მეფე თეიმურაზი და ზურაბ ერისთავი ერთად იმყოფებოდნენ დუშეთში, ზურაბ ერისთავის კარზე. შეკრიბა მოურავმა ჯარი და თავს დაესხა დუშეთში მეფე თეიმურაზს. მთელი კახეთი იქ იყო შეკრებილი, ასევე ზურაბ ერისთავის ლაშქარი და მთელი საამილახვრო. ბაზალეთში ეკვეთნენ ერთმანეთს, ისე ფიცხლად იბრძოდნენ, კაცი არ დარჩა,

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.**

რომ არ დაჭრილიყო. მრავალი თავადი დაიღუპა. თვითონ მეფეც დაიჭრა იმ დღისით. მოურავი დამარცხდა იმ დღისით და თვითონაც დაიჭრა.

მოურავის ცოლი და ვაჟები სამცხეში წავიდნენ. თვითონ მოურავი და ქაიხოსრო გამგებელი კი ხონთქართან გაემართნენ. წყალობა გამოიჩინა ხონთქარმა მოურავის მიმართ და სანჯაყების მმართველობა მისცა.

იმხანად უფრო მეტი ძალაუფლება შეიძინა ზურაბ ერისთავმა, არაფრად აგდებდა მეფე თეიმურაზს. მაშინ დაიჭირა საქმე სვიმონ მეფესთან. სვიმონ მეფე თბილისის ციხეში იმყოფებოდა. დიდი ფიცი მისცა ზურაბ ერისთავმა და გამოიყვანა ციხიდან, მხარში ამოუდგა, ტახტზე აიყვანა და ქართლი მის მხარეს გადაიბირა.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

თეიმურაზ მეფემ დაინახა ზურაბ ერისთავის საქციელი და განდგომილება, დააკლდა ძალაუფლება და გასაქცევაც აღარსად ჰქონდა. მაშინ გაემზადა და წავიდა ყაენთან, როგორც თავიდან ჰქონდა გადაწყვეტილი. იქიდან მოიწერა, „მე ყაენთან წამოვედი და ახლა ვნახავო შენი და სვიმონ მეფის ერთობას“. ზურაბმა მოისმინა ეს ნათქვამი და თავისთვის გადაწყვიტა, რომ თეიმურაზ მეფე კახეთის მბრძანებელი ყოფილიყო, სვიმონ მეფე - ქართლისა და თვითონ ორივეზე ჰქონოდა გავლენა, უმისოდ ვერაფერი გაეკეთებინათ. ჩქარობდა თავისი საქმის წარმატებას და თუ რომელიმე არ იქნებოდა მისი სურვილის დამყოლი, ერთს მეორის მოწინააღმდეგედ გამოიყენებდა და რომელიც მისი მორჩილი იქნებოდა, იმას გაიხდიდა პატრონად ...

**ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე.**

როცა დარწმუნდა თეიმურაზის გამგზავრებაში, მაშინ მიიღო თავისი თავის დამლუპველი ბოროტი გადაწყვეტილება. სვიმონ მეფის მკვლეელი გახდა – ლალატით მოკლა საწოლში მძინარე. თავი მოჰკვეთა და თეიმურაზს გაუგზავნა. ამის შემდეგ ზურაბ ერისთავმა ჩაიყვანა თეიმურაზი და ქართლის მბრძანებლად დასვა.

გამოხდა ხანი და გაიხსენა თეიმურაზმა ზურაბ ერისთავის უწინდელი უკეთურება. დიდი შუღლი ჰქონდა მის მიმართ, მარჯვე დროს ეძებდა, რომ რაიმე ბოროტება შეემთხვია მისთვის და გადაწყვიტა მისი მოკვლა. არ მოერიდა არც საკუთარი ასულის, დარეჯანის ქვრივობას. მუხრანში იმყოფებოდა მაშინ მეფე. იქ სურდა ეღალატა ზურაბ ერისთავისთვის.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

გაგზავნა კაცი და მოიხმო ზურაბ ერისთავი. მოვიდა იგი, გაერთნენ, ლხინობდნენ და ვერაფერს მიხვდა ერისთავი. ერთ დღესაც, როცა იქ ისხდნენ მისი ყმები, ანიშნა თეიმურაზმა. მათ ერისთავის უჩუმრად აიღეს ხმლები, ნადიმზე მჯდომს უღალატეს და მოკლეს. მასზე აღსრულდა უფლის ბრძანება: რომელმაც აიღოს მახვილი, მახვილით დაიღუპოს.

მაშინ თეიმურაზმა თავისი ასული დარეჯანი გაატანა ალექსანდრეს, იმერეთის მბრძანებლის ვაჟს. იმხანად იმერეთის მბრძანებელ გიორგისა და დადიანს ერთმანეთის შური ჰქონდათ. მტრობა და შუღლი ჰქონდათ ერთმანეთში და ერთმანეთს უოხრებდნენ სამფლობელოებს.

**კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე.**

(„ქართლის ცხოვრების“ ადაპტირებული ვერსიის მიხედვით. გამომცემლობა „ახალი ივერონი“. ტ. 3. თბილისი 2012 წ.)

## კითხვები:

- (1) **25.1.** წყაროს მიხედვით, რა კონკრეტულმა მიზეზმა განაპირობა ერისთავის გამედიდურება?
- (1) **25.2.** რას ვუწოდებთ სახელმწიფოს, რომლის მმართველიც იყო წყაროში დასახელებული ხონთქარი?
- (1) **25.3.** წყაროს რომელი ცნობით დასტურდება, რომ ბაზალეთის ბრძოლა გამოირჩეოდა დიდი მსხვერპლითა და სისხლისღვრით?
- (1) **25.4.** წყაროს მიხედვით, ვინ დასვა ზურაბ ერისთავმა თავდაპირველად ქართლის მბრძანებლად?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)



(1) **25.5.** რა კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის წყარო დასავლეთ საქართველოში არსებული პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ?

(1) **25.6.** წყაროს მიხედვით, საქართველოს რომელი პოლიტიკური ერთეულების მმართველი გახდა საბოლოოდ თეიმურაზ მეფე?

(1) **25.7.** ვის გულისხმობს წყაროს ავტორი, როდესაც წერს - „მასზე აღსრულდა უფლის ბრძანება: რომელმაც აიღოს მახვილი, მახვილით დაიღუპოს“?

(2) **25.8.** რა იგულისხმება სამცხეში თავადების „გათათრებაში“ და რა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა ეს?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

(2) **25.9.** წყაროს მიხედვით, სრულად ჩამოთვალეთ, თუ რა გააკეთა ჯაყელთა საგვარეულოს ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, რომ ათაბაგი გამხდარიყო?

(2) **25.10.** წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ის პიროვნებები, რომლებსაც მოურავმა ბრძოლის წინ დახმარებისათვის მიმართა და თქვენი აზრით, რატომ დაეხმარნენ ისინი სააკაძეს?

(2) **25.11.** წყაროში არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რა იყო ბაზალეთის ბრძოლის მიზეზი და ვისი გამარჯვებით დასრულდა ეს ბრძოლა?

(2) **25.12.** წყაროს მიხედვით, ვინ მოკლა ერისთავმა და თქვენი აზრით, რატომ?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)